ხარასკევი, ივნისის 6 1919 წ. ფასი 1 მანეთი. № 103.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ქვეყანა

წყლიწადი მესამე

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი მოთხრობები.

რედაქცია ღიაა: დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ., ფიჩხაძის ს. **ფოსტის ადრესი:** ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

კანტორა

გაზეთის ფასი; ერთი თვით 20 მან. 3 თვით 50 მ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. და 50 კ. უკანასკნელზე 1 მ. ქალაქ გარეგან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. **სამგლოვიარო განცხადება:** თითოჯერ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 12 საათამდე 25 მ., 12 საათის შემდეგ 30 მან.

კანტორა ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

ქუთაისი, ფოსტის ყუთი № 80.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის ორგანო

„ჩვენი ქვეყანა"-ს რედაქციის კანტორასთან დაარსდა გაზეთის ფონდი. მოქალაქენო გაიღეთ შემოწირულებანი. გაზეთის გამოცემის საქმე მკითხველთა თანაგრძნობაზეა დამოკიდებული.

კვირას 8 ივნის (ახ. სტილით) 10 საათზე საფირჩხიის სასაფლაოს ეკლესიაზე გადახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი ძვირფას და დაუვიწყარ

ანგოშა ხაზარაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ გულდათუთქულნი მშობლები ილარიონ ანტონის ძე და გულჩინა გაიოზის ასული ხაზარაძეები შვილებითურთ. 1—1

სიმონ მიხაილის ძე, ლიდა იაკორის ასული და მაკრინე ოტიას ასული ამირეჯიბი, ანნა დავითის ასული ჩიქოვანისა და ტიპი გელოვანისა, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ 7 ივნისს (ახალი სტილით) 1919 წ. დღით შაბათს ქუთაისის მთავარ ანგელოზის ტაძარში (ქალაქის ბაღის პირდაპირ) გადახდილ იქნება ნახევარი წლის წირვა 10 საათზე დილით და პანაშვიდი 12 საათზე მათის ძვირფასის და დაუვიწყარის სამისა—რძლის და უკანასკნელთა შვილის

ოლლა (იგივე ძაძუ) ოტიას ასულის

ამირაჯიბის

სულის მოსახსენებლათ. 1—1

დამწუხრებული ქვრივი აგრაფინა ჩიქოვანისა და ძმა არხიმანდრიტი კლემენტესი უღრმესი ტანჯვით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ შაბათს 2Ე მაისს (ძვ. სტ.) გადახდილი იქნება საფირჩხიის ეკლესიაზე წლის წირვა და პანაშვიდი სიკვდილამდე დაუვიწყარის პირველის ძვირფასი ქმრის და მეორესი საყვარელი ძმის

ანტონ ზურაბის ძე ჩიქოვანის

სულის მოსახსენებლათ. წირვის დასაწყისი 9 საათზე.

2—2

გულდამწვარი დედა მინიკა ქსენია და ელენა ქმარებითურთ და გუგულია (ბიძაშვილები) აუწყებენ ნათესავ ნაცნობთ ძვირფასი პიროუჩიკი

გეორგი ფარსადანის ძე მიქელაძის

სანაინის პოზიციაზე ტრაგიკულად დაღუპვის ექვსი თვის თავს. პანაშვიდი იქნება გადახდილი შაბათს 7 ივნ. კულაშის სამგვარეულო ეკლესიაში. 1—1

მეუღლე ჭიჭიკო ალექსანდრეს ძე გელოვანი, დედა ნინო ლორთქიფანიძისა, ძმა ციცერონ დარისპანის ძე ლორთქიფანიძე, დები ვალია ცანავასი, ელენე ხოჯევნოვისა, ნადეჟდა ჩხოტუასი ქმრებითურთ, მაზლები; ვლადიმერი, მიხაილი, სიმონი, გრიგოლ, მულები; მარიამ, ლუბა და საშიკო გელოვანები, აუწყებენ ნათესავებთ და ნაცნობთ, რომ 7 ივანობისთვეს ახალი სტილით, 10 საათზე დილით, საფირჩხიის სასაფლაოს ეკლესიაზე გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი უძვირფასესის და საყვარლის

გულა დარისპანის ასულის გელოვანის

სულის მოსახსენებლათ. 2—1

შაბათს 7 ივნისს, ქუთ. წმ. ნინოს სასწავ.-ღში საღამოს 7 საათზე დანიშნულია

კრება

ქუთაისის ღარიბ ბავშვებზე მზრუნველ საზოგადოების, ყოფილი წევრებისა. თავმჯდომარის მოადგილე უმორჩილესად გთხოვთ კრებას აუცილებლად დაესწროთ.

ქუთ. მ. დუნდუას ასულის საქალო ძართული გიმნაზია პროფესიონალური განყოფილებით

ამით აცხადებს, რომ მოსწავლეთა მიღება მაისის 27—დან დაიწყება. მომავალი სამოსწავლო წლისთვის გაიხსნება მორიგი

მეექვსე კლასი.

ვაკანსია ყველა კლასებშია. აქვე არის გახსნილი საზეფხულო კურსები, სადაც შეისწავლიან სუფთა ხელ საქმარს და ფეხსაცმელების კერვას, თხოვნები მიიღება დილის 9—2 საათამდე.

მისამართი: ბალახვანის ქ., ყოფილი სახაზინო პალატის პირდაპირ.

6—6

ექიმი მედიცინისა საზღვარ გარეთელი უნივერსიტეტ. ფ. ი. კაკიტელაშვილი

ღებულობს ავადმყოფებს ქალთა, საშარდის (ტრიპერი, სიფილისი. ექიმობა 606 და 914) და შინაგანთა. პუშკინის ქუჩა. საკუთარი სახლი. პუშკინის ფოტოგრაფიის პირდაპირ.

ექიმი ბიკტორ ნიკიფორეს ძე ხუსკიფაძე ღებულობს ავათმყოფებს დილით 9—2 საათამდე, საღამოს 4—7 საათამდე. ძველი თბილისის ქუჩა, ქორქაშვილის სახლი.

24—18

ქალის **ექიმი** ნ. ა. მხეიძე ღებულობს ავადმყოფებს დილით 9—3 საათამდე. ივანოვის ქუჩა, დუჩაიძის სახლი. 24—14

ქუთაისი იანისის 6

როგორც ყველას კარგათ მოეხსენება, რამოდენიმე ათეული წლის განმავლობაში, ქართველი საზოგადოება იკვებებოდა ეხამს და ყოველად მიუღებელ სოციალურ და პოლიტიკურ იდეალოგიით;

ამ ადეალოგიამ დაიპყრო მთელი ჩვენი ყურადღება. ყველა სოციალისტურ წყობილების დამყარებას ესწრაფოდა და საქართველოს პოლიტიკურ თავისუფლების იდეას ებრძოდა.

საზოგადოებრივ ცხოვრების მთავარ მამოძრავებელ ძალათ კლასიან წოდებათა შორის შეურიგებელი ბრძოლა იყო აღიარებული. ეროვნული მთლიანობა, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფთა თუ პიროვნებათა თანამშრომლობით გამოწვეული, უარყოფილი და დაგმობილი იყო.

დიდი ხანი არ არის მის შემდეგ, რაც ქართველი ინტელიგენციის უმეტესობა ამნაირათ აზროვნებდა და ამ აზროვნებას უფარდებდა თავის ყოველდღიურ პრაკტიკულ მოქმედებას.

მაგრამ ეს იდეალოგია სხვაგან დიდი ხნის გაწბილებით, ჩვენშიაც დამარცხებული შეიქმნა ცხოვრების ულმობელი ლოგიკით. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება და ამ დამოუკიდებლობისათვის შედგარი ბრძოლა, აი ის ჯადოსნური ძალა, რომელმაც მთელი ჩვენ საზოგადოების შემადგენელი ნაწილები შეადუღა და შეანივთიერა დაუშლელი და დაურღვეველი კავშირით.

ეს კავშირი ყველაზე უფრო ძლიერი და საგრძნობი ყოფილა და არის ქვეყნის განსაცდელის ჟამს.

ქართველობის ერთის გრძნობით და ფიქრით გამსჭვალვა; ერთნაირის ნებისყოფით და შეურყეველი გადაწყვეტილებით გამოსვლა ეროვნული დამცირების

ასაშორებლათ ხომ ამ რამოდენიმე თვის წინათ მოხდა; სამხრეთ მეზობლის წინააღმდეგ მომხდარ ლაშქრობის დროს.

დღესაც, როცა ჩვენ მეორე საფრთხეს წინ ვიგრძენით თავი დენიკინის სახით რომ უნდა მოევლინოს ჩვენ ქვეყანას, ერთობა ჩვენი მტკიცე და ურყევი შეიქნა.

ის ძალა ერთ ულელ ქვეშ ყოფნის, ერთათ სიკვდილის და ერთად სიცოცხლისა, ძველი საქართველოს სიმტკიცესა და უძლეველობის საფუძველს რომ შეადგენდა, რომელიც კინაღამ დაგვერღვა და წაგვერთვა, დღეს არაჩვეულებრივი სისწრაფით მტკიცდება და ყალიბდება.

ცხადია ამ ერთობის განმტკიცებას ლოღიკური, აუცილებლობით უნდა მოყვეს საზოგადოებაში არსება მეორე საწინააღმდეგო ძალის, კლასთა თუ წოდებათ შორის ბრძოლის შენელება, მტრობა-შეულლის პრინციპის შესუსტება.

ეს კი აუცილებლათ საწინდარი იქნება ჩვენი გამარჯვებისა მოზღვავებულ მტრებზე საქართველოს აოხრება და დამცირება რომ სწადიათ.

დღეს დაგვიდგა დრო, როცა უნდა გამოიჭედოს სხვა და სხვა მიზეზების გამო შერყეული ერთობა.

საფრთხეში ჩავარდნილ კავკასიას, განსაცდელის თავიდან ასაცილებლათ საქართველო გაუწევს ხელმძღვანელობას ბრძოლის ველზე თუ შინაურ ცხოვრებაში, როგორც ეს იყო წინათ, ჩვენი სახელოვან წინაპართა დამეფეების დროს.

ჯერ-ჯეროობით ჩვენთან არის ჩვენი უძველესი მეზობელი, აზერბეიჯანი, რომელთანაც ჩვენ მეფეებს ქონიათ მჭიდრო კავშირი და არა ერთხელ გაუწევიათ დახმარება და გადურჩენიათ განადგურებისაგან.

ძველათ დათესილმა მადლმა და მეგობრულმა ურთიერთობამ, როცა საჭირო შეიქნა, სწრაფათ იჩინა თავი. ყველას გვწამს, რომ ამ ძალთა შეერთებას სასწაულის მოხდენა შეეძლება. მის წინაშე უთუოთ შედრკება ჩრდილოეთიდან მომავალ შავ-ბნელი ძალები, რომელსაც სურს ამ თავისუფლების მოტრფიალე კუთხის ხალხთა ყოფა-ცხოვრების დაშლა და აწიოკება.

მაშ გაუმარჯოს ამ დიდი ხნით სანუკველ კავშირს ამ ორ მეზობელ მეგობარ ერთა შორის. ჩვენ გვწამს, რომ ამ კავშირში აუცილებლათ შევლენ, კავკასიის ყველა, თავისუფლების მოსიყვარულე ერები.

ომისათვის.

სოჩის მიმართულებით დენიკინმა უკვე გადმოგვიგდო ხელთათმანი.

საქართველომ ტრადიციულ თავმოყვარეობით უნდა აიღოს იგი და დაუმტკიცოს ქვეყანას, რომ ჩვენ გვიყვარს მშვენიერი ტანჯვა სამშობლოსათვის.

მოხალისეთა ლაშქრის წინააღმდეგ ომის სამზადისში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ზურგის ფრონტს, შინაურ ფრონტს.

საფრანგეთის რევოლიუციის ისტორიიდან ვიცით, რომ რევოლიუციონურად განწყობილ მთავრობას სწორედ მაშინ უდგებოდა განკითხვის ჟამი შინაური ანარქიის მხრით, როდესაც გარედან საფრთხე მოადგებოდა:

ვანდეასი და ჟირონდას მოღალატეობრივი ჯანყი მაშინ გამოაშკარავდა, როდესაც ინგლისის ჯარი მოადგა საფრანგეთის საზღვრებს.

ორი წლის ჩვენც რევოლიუციაშიც ჰქონდა ანალოგიურ მოვლენას ადგილი:

სამეგრელოსი და დუშეთის ანარქიის ორგანიზაცია მაინცდამაინც იმ ხანებში მოეწყო, როდესაც ოსმალეთი თავდასხმას გვიპირებდა.

ასეთია რევოლიუციონურ პირობებში შეჰქმნილი მთავრობის ხვედრი და ჩვენი რესპუბლიკის უტეხი ენერგიაც უმთავრესად აქეთკენ უნდა მივმართოთ.

საშოშივე უნდა იქნას ჩახრჩობილი ყოველგვარი ისეთი ცდა, რომელიც ჩვენს სამხედრო მოქმედებას დენიკინის წინააღმდეგ რითიმე დააბრკოლებს.

განსაკუთრებით მართველ პარტიის ორგანიზმში უნდა მოხდეს დეზინფექცია

გუშინდელი „ერთობა" გულწრფელად ამბობს, რომ „ეგრეთწოდებული რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია დენიკინთან ბრძოლის პირობად ჩვენგან მოითხოვს ბოლშევიკურ რუსეთთან შეერთებასო".

მუშათა საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე, ამ ტიპის ხალხმა დღესვე მოითხოვა განთავისუფლება დატუსაღებულ კომუნისტებისა.

ცისა და ქვეყნის საბუთებითა და თვით ბოლშევიკების მოკლე წარსულის მიხედვით არასოდეს არ ყოფილა ისე საჭირო ბოლშევიკების ფიზიკური და იდეოლოგიური იზოლიაცია ჩვენი ხალხიდან, როგორც დღეს.

ამ საბედისწერო ადამიანების ენაც მაშინ სჭრის და ენერგიაც მაშინ ზვავდება ქვეყნის წასახდენად, როდესაც ჩვენი მთავრობის ყურადღება გარეშე საფრთხისკენაა მიპყრობილი.

ასე იყო დღემდე, ასეთი პერსპექტივა გვეშლება დღესაც.

საქართველოს დამოუკიდებლობის წლის თავს ქართველი დემოკრატია რომ დღესასწაულობდა, ქართველი ბოლშევიკსტუდენტები იმ დღესა და იმ ღამეს რუსულად დაწერილ შავ პროკლამაციას ციანიზმითა და პროვოკაციით გაჟღენთილს, არაჩვეულებრივის სისწრაფით ავრცელებდენ ხალხში.

ეს ერთი მხარე და პირობა ჩვენი დამარცხებისა დღეიდანვე უნდა იქნეს ჩვენი მთავრობის ზედამხედველობის ქვეშ განრთხმული.

არის მეორეც არა ნაკლებ საშიში და დამაფიქრებელი:

ესაა მონური ფსიქოლოგია ჩვენი ზოგიერთ თანამემამულეების გადაგვარებულ ბუნებაში საუკუნოებით ჩაშენებული, რომელიც დენიკინის გამარჯვებაში პირადს ბედნიერებას პოულობს.

ასეთი ადამიანების შენახვა და გადამალვა, ზურგით მიმპარავი ადამიანების მფარველობა იქნებოდა ჩვენის მხრით.

სამუდამოთ უნდა აღიკვეთოს ამათს არსებაში მონური ფსიქოლოგია და რკინის ურდულით გადაირაზოს მათი ბოროტი ბაგენი.

არის მესამე საფრთხეც, ჩვენი სტუმართ მოყვარეობით ჩვენ-შორის მყოფი რუსის თესლისანი, რომელნიც დღე-მუდამ საქართველოს დალატს დაატარებენ გულით.

ეს უმადური ხალხი უნდა გაფრთხილებულ იქნას ყოველგვარ ავანტიურიდან, თორემ საქართველოს შურისძიების ნიჭიც შესწევს.

მეოთხე და მთავარი საფრთხე მოგველის ისეთ მეზობლებიდან, როგორიცაა სომხეთი და ოსეთი.

განკითხვის ჟამს მათს გამოურკვეველ ფიზიონომიაზე ჩვენ უფლება გვაქვს წავიკითხოთ შავი ასოები.

საქართველოს რესპუბლიკას რკინის პერანგი უნდა ჩავაცვათ და შეუვალ ვყოთ შიგნიდან მოსალოდნელ კატასტროფებიდან.

ჩვენი მთავრობის პოლიტიკა ამ შემთხვევაში ორივე გვერდით უნდა სჭრიდეს, ისე როგორც ჩვენი მხედრების ხანჯალი.

მაგრამ მთელი ეს ჩვენი სამზადისი უბრალო წყლის ნაყვა იქნება, თუ კლასიურ პოზიციაზე მდგომ მთავრობამ ერის უმრავლესობა არ ჩაითრია საერთო საქმეში და რომელიმე წოდებას ან კლასს, პარტიული უნდობლობა გამოუცხადა.

თუ სიტყვებს რაიმე ფასი აქვს ჩვენს თეთრ დარბაზში, ვ. ჯუღელის სიტყვები სახელმძღვანელო მეთოდათ უნდა იქნას მიღებული:

„არ ვიცი რომელი უფრო იბრძოდა, ოთხი ტყვიით დაჭრილი თავადი, თუ მის გვერდით მყოფი ერთი ტყვიით დაჭრილი გვარდიელი".

უნდა მოხდეს ერის დიდი უმრავლესობის კონცეტრაცია, ყველა სასიცოცხლო ძალების შეჯგუფება.

ყველა და ყველაფერი ომისათვის, აი მორიგი ლოზუნგი.

პრესა.

ჯუღელის გულწრფელობა.

მენშევიკების საშინაო თუ საგარეო პოლიტიკა კლასიურ პრიციპებზეა აშენებული, მაგრამ სახელმწიფოებრივი ორგანიზმის შექმნის პროცესში ეს პრინციპი თან-დათან იჩრდილება. ერი და სახელმწიფო ყველა წოდებათა და კლასთა სოციალური თანაშრომლობის შედეგია და უთუოდ არსებული კლასთა ბრძოლა სახელმწიფოს აშენების საქმეში სახელმძღვანელო მეთოდათ არასოდეს არ გამოდგება. ვიდრე მენშევიკები ოპოზიციონურ ბრძოლას აწარმოებდენ, კიდევ ჰქონდა აზრი მათს კლასიურ ლოზუნგებს, მაგრამ დღეს ბედმა და გარემოებამ მათ მთელი სახელმწიფოს მესვეურობა დააკისრა, და ძველი გზით სიარული არ გამოადგებათ. მიუხედავათ ყველა ცნობილი ყაჩაღური დეკრეტებისა, რომელიც მართველმა პარტიამ ჩვენში გამოსცა, — ნაწილობრივ არის სიტყვიერი შეგნება მაინც პროლეტარული ფილოსოფიის უვარგისობის. ვ. ჯუღელმა საქვეყნოდ განაცხადა დამფუძნებელ კრების უკანასკნელ სხდომაზე, რომ თავად-აზნაურობას ყველაფერი წავართვით, მაგრამ ვერ წავართვით პატრიოტული გრძნობაო.

ჩვენი საზოგადოება 4 ნაწილისაგან შესდგება. მუშები, გლეხები, თავადაზნაურობა და ბურჟუაზია. მე არასოდეს არ ვყოფილვარ თავად აზნაურთა მოთაყვანე, მაგრამ მართალი უნდა ითქვას, მათ ჩვენ ჩამოვართვით ყველაფერი, გავაღატაკეთ, მაგრამ მაინც საუკეთესო მათი შვილნი ჩვენ გვიდგიან გვერდში და დემოკრატიასთან ერთად სისხლსა ღვრიან: მე არ ვიცი რომელი უფრო გმირულად და თავგანწირვით იბრძოდა 4 ტყვიით განგმირული თავადი აფიცერი თუ მის გვერდში მწოლარე ერთი ტყვიით დაჭრილი გვარდიელი.

ამ გულწრფელ აღსარებას პრაქტიკულად გამოყენება სჭირია და ჩვენ დავარწმუნებთ ქვეყანას თუ რამდენად ძლიერია ქართველ არისტოკრატიაში მამულიშვილური გრძნობა. ეს იყო და ეს ჩვენი თავად-აზნაურობის დამახასიათებელი ისტორიული მისია და ხელსაყრელ პირობებში მათ კიდევ შესწევთ ძალა თავიანთ რაინდობის გამოსაჩენად.

დეპეშები.

საქ. დეპ. სააგენტო.

4 ივნისი.

გერმანული პრესის ცნობები.

აღმოსავლეთში მყოფ გერმანელებს მთავრობამ შემდეგი მოწოდებით მიმართა: „გერმანიის საპასუხო წინადადებანი მოკავშირეებს პარიზში გადასცეს. მათში დაბეჯითებითაა მოთხოვნილი, რომ აღმოსავლეთის ოლქები არ ჩამოაშორონ მას და გერმანელები ამტკიცებენ, რომ გერმანიას ვერ ჩამოაშორებენ ვერც ზემო სილეზიას, ვერც დასავლეთ პრუსიას, ვერც დანციგს და ვერც მემელს და შეუძლებელია, რომ აღმოსავლეთის პრუსია დასჭრან პოლონელების ზღვისკენ ვიწრო გასავალებით. თუ ჩვენი საპასუხო წინადადებანი უარყვეს, მაშინ რესპუბლიკის მთავრობა მიმართავს ისეთ ზომებს, რომლებსაც გვიკარნახებენ ეროვნული ინტერესებობის შენარჩუნების აუცილებლობა. ჩვენ გვესმის ჩვენი [illegible] ბრძოლა, ისე მომავალისთვის.

ზემო სილეზიის ქალების მრავალ-რიცხოვან კრებაზე შემდეგი რეზოლიუცია მიიღეს: მრავალი ქალი და ბავშვი ენერგიულ პროტესტს აცხადებს „შიმშილის ზავისა" და განსაკუთრებით გერმანიის საერთო სამშობლოსაგან ჩვენი ძვირფასი სამშობლოს ჩამოშორების გამო, და მოგმართავენ თქვენ, მოწინააღმდეგის და ნეიტრალურ ქვეყნების ქალებს. ნუ გაგვხდით მონებად, რათა ჩვენ ბავშვებს თქვენდამი ზიზღი და შურისძიების გრძნობა არ ჩაუნერგოთ, ეცადეთ, რომ ბოლოს და ბოლოს მოგვცენ ისეთი ზავი, რომელიც სიმშვიდეს თავისუფლებას და სამართლიანობას დაამყარებს.

ბალშევიკების ცნობები.

მოსკოვი. ივნისის 3. სამხედრო ცნობა. ჩრდილოეთის ფრონტი. არხანგელსკის რაიონში ჩვენი მზვერავები მოწინააღმდეგის ზურგში შევიდნენ და რკინის გზის ლიანდიგი მე-453 ვერსზე ააფეთქეს. დასავლეთის ფრონტი. ნარვის მიმართულებით წითელი ჯარის შეტევა გრძელდება. გატჩინოს დასავლეთით რამდენიმე სოფელი დავიჭირეთ. გატჩინოს სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარმა წინ წაიწია. ფინეთის ყურეში მოწინააღმდეგის სამხედრო გემები მძიმე არტილერიით კოპორის ყურეს სამხრეთის ნაპირს უშენდა. ვოლმარის მიმართულებით, მდ. ლაფლიანდიის აას რაიონში ბრძოლაა. პონევეჟის რაიონში ლატიშები ახალ პოზიციებისაკენ იხევენ. ბარანოვიჩის აღმოსავლეთით მოწინააღმდეგემ შემოგვიტია, მაგრამ უკუვაქციეთ. სამხრ. ფრონტი. მარიუპოლის რაიონში ჩვენ სადგ. ვოლკოვახა და ველიკო ანატოლი დავსტოვეთ. ბახმუტის რაიონში, სალ. პოტაშნაიას ჩრდ. მოწინააღმდეგემ შეგვავიწროვა. ლევანსკის სამხრეთით დიდი ბრძოლაა. რკინის გზის ლიანდაგის აღმოსავლეთით, მდ. ავსაიზე ჩვენმა ჯარმა მოწინააღმდეგე შეავიწროვა და ყუბანის ქვეითა პოლკი და ბლასტუნთა ბატალიონი ტყვეთ წამოიყვანა. ასტრახანის რაიონში სამი დღის ბრძოლის შემდეგ სერებრიაკოვსკაიასთან მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მივაყენეთ და ყიზლიარის ჩრდილოეთით 60 ვერსზე უკუვაგდეთ.

აღმოსავლეთის ფრონტი. ნოვოუხენის რაიონში მოწინააღმდეგემ ალექსანდროვოგაიუსკენ დაიხია. ურალსკის რკინის გზის სამხრეთით ჩვენი შეტევა გრძელდება. ჩვენ სადგური ჩერკული დავიჭირეთ. ორენბურგის დასავლეთით ორმოცდათ ერსზე ტატიშჩევოსთან მტერმა შემოგვიტია, მაგრამ უკუ ვაგდეთ. სტერლიტამაკის რაიონში ჩვენ მეზელინსკი დავიჭირეთ. უფის რაიონში ჩვენი ჯარი ყველა ფრონტზე სად. ჩიშმის ხაზზე გამოვიდა. სარაპულის რაიონი. ჩვენ სად. აგრიზის ხაზს მივაღწიეთ. კრონშტატის სიმაგრის რაიონში ივნისის 1 ჩვენ სოფ. ნოვოუსტიე, შაკოვო, გალშკინო და შჩეკინო დავიჭირეთ. ივნისის 2. მზვერავები მოქმედებდენ.

კიევი, მაისის 31. ჩვენმა ჯარმა დუბნო და დაბა მლინოვი დაიჭირა. (შემდეგ გამოტოვებულია).

ინგლისური პრესის ცნობები.

ს. უერმენი. დაიწყო ომის უკანასკნელი ხანა. დღეს, მოკავშირეებმა დამარცხებულ ავსტრიის დელეგატებს ჯერ კიდევ დაუმთავრებელი საზავო პირობები ჩააბარეს. ავსტრიის საზავო დელეგაციის მეთაურმა რენერმა, წინააღმდეგ ბროკდორფისა, ზავის პირობები მორჩილებით და წყნარად მიიღო. კლემანსომ მას მიმართა რამდენიმე სიტყვით, რომელზედაც მან ფეხზე მდგომმა ფრანგულ ენაზე აღელვებით უპასუხა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტიანულ დახმარების საეკლესიო ...ეტმა საფრანგეთისა და ბელგიაში ...ს 1 ფულის მოკრება დანიშნა. ...ებულ ადგილებში პროტესტანტთა ...ების აღსადგენად 3,200,000 დო... საჭირო.

...ოდ ჯორჯი და დენიკინი

...ბილისში რადიოს საშუალებით მი... ცნობით ინგლისის მთავრობას, ...ამენტს და საქართველოს დიპლომა... წარმომადგენელს, ბ ნ ლამბაშიძეს, ... მიულიათ ცნობა დენიკინის ამიერ... ...ზიაზე გამოლაშქრების შესახებ. სა... ...ველოს დიპლომატიურ წარმომადგე... ...ს მოლაპარაკება ჰქონია ლოიდ ჯორჯ... რომელსაც ადუთქვამს, რომ დენი... ...ს ამიერ-კავკასიისაკენ წინსვლა შეჩე... ...ულ იქმნება მოკავშირეთა მიერ.

ოსეგის ამბავი.

...ართულ ლეგიონის ოფიცერი შტ. კაპ. ...ლო ბარათაშვილი, რომელიც ამ დღე... ...ი ჯავის ხეობაში იყო, ოსების შესა... შემდეგს გადმოგვცემს:

„ოსები ამბობენ, რომ წელს, ჩვენ ...თუოდ უნდა გავიმარჯვოთ, შარშან ...გვამარცხა საქართველოს მთავრობამ, ...რამ ასე არ მოხდება წელს. სანდო ...ების თქმით ოსებთან თავს იყრიან ...ესი ოფიცრები. ოსების ერთი მეთაურ... ...ანი სენაყოევი ამ ჟამად ჯავაშია, ...ინვალის რაიონიდან ქართველი მკვი... ...ნი გამორბიან, ოსები არ მალავენ და ...ნი აშკარად ამბობენ, რომ ჩვენ მალე ...ი მოგვიხდებაო, მომზადებული ოსები ...ამოდ არიან მათ აქვთ ტყვიის მფრქვე... ...ელებიკო“.

ახალი ამბავი

ქუთაისი.

წვრილი საერობო ერთეულების არ...ევნებში. კვირას 8 ივნისს შესდგება ...ქუთაისის მაზრაში წვრილი საერობო ...ერთეულების არჩევნები.

ქალაქის აფთიაქის ფარმაცევტთა ...ოთხოვნილება. 4 ივნისს ქალაქის გამ...ეობამ, რომელსაც დაესწრო შრომის კო...ისარი გ. ურუშაძე და პირველი აფთია...ის გამგე განიხილა ქალაქის აფთიაქების ...ოსამსახურე-ფარმაცევტთა მოთხოვნილე...ა ჯამაგირების მომატების შესახებ. და ...ადგინა: მოწვეულ იქნეს პირადი შე...ადგენლობის კომისია მოსამსახურეთა ...ტატების გადასასინჯავათ. შემდეგ მოწ...ეულ იქნეს საფინანსო საბიუჯეტო კო...ისია მოთხოვნილების განსახილველათ.

მუშათა კლუბი „ინტერნაციონა...ლი“. შაბათს 7 ივნისს მუშათა კლუბში, ...ინტერნაციონალში შესდგება ქუთაისის ...ამუსიკო სასწავლებლის მასწავლებელთა ...და მოწაფეთა მიერ კონცერტი.

უსუფთაობა ქალაქის ქუჩებში. ...ქალაქის ქუჩებში უსუფთაობაა, რაც ...ხელს უწყობს გადამდები სახადის გავრ...ცელებას, ყურადღების მიმქცევი კი არა...ვინა ჩანს, საჭიროა დროზე მიექცეს ყუ...რადღება ვისგანაც ჯერ არს.

დაპატიმრება. ქუთაისის მაზრის ...კომისარმა ახვლედიანმა დააპატიმრა სოფ. ...ნგარევში მცხოვრები გრიგოლ წერეთე...ლი, რომელსაც ბრალდება სხვადასხვა ...დროს მორჩაძესთან კავშირი და ბოროტ...მოქმედებანი.

თავდასხმა. სოფ. კულაში 25 ...მაისს ღამით თავს დეესხენ ადგილობრივ ...მცხოვრებს სიმონ როსტომის ძე ლეჟავას, ...ბოროტგამზრახველები. ლეჟავა დაჭრეს ...და წაიღეს 6000 მან. და სხვადასხვა ...ძვირფასი ნივთები. შეიპყრეს ვლადიმერ ...ონისიმეს ძე გოგია და იაგორ შენგელია.

ქუთაისის მასწავლებელთა კო...ლეგიის საზოგადო განათლების კურსებზე ...გამოცდები უკვე დაიწყო განათლების სა...მინისტროს წარმომადგენელის ბ ნ კ სუ...ლაქველიძის თანადასწრებით პირველი ...გამოცდა ქართულ ენაში უკვე მოხდა 4 ...ივნისს.

საბრეშუმო სადგურზე. აბრეშუ...მის ჭიის მოვლის დათვარიელება შეი...ძლება დილის 10 საათიდან საღამოს ...6 საათამდე. მნახველებს გააცნობენ რო...გორც ჩვენებურს ისე იტალიანური ...სისტემით ჭიის მოვლას.

შაბიაბანი. მევენახეობისა და ...მეღვინეობის ქუთაისის კომიტეტმა შა...ბიაბანი უკვე მიიღო ფუთი იყიდება ...600 მანეთად.

გაზეთების ადრე მიღება ქუთა...ისში. დღეიდან კანტორა „იბერეთი“ ...ზოგიერთ თფილისის გაზეთებს ღებულობს ...დილის 6 საათზე. კანტორას ცნობა აქვს ...თფილისიდან, რომ დანარჩენ იქაურ გა...ზეთების მიღებაც მალე მოეწყობა ჩქარი ...მატარებლით და ამნაირათ ყველა გაზე...თები დილა ადრიან შეუძლიათ მოიკი...თხონ მკითხველებმა კანტორაში.

შეცდომის გასწორება. ი. მოში...აშვილის წერილში გაზ. „ჩვ. ქვეყანას“ № 100-ში შემდეგი შეცდომაა დაშვებუ...ლი. წერილში ბარამიცვის შემდეგ უნდა ...იყოს: **მილა** შენიშვნაში: ბარმიცვა ნიშ...ნავს ვაჟის თეფილინის დადებას, მილა...ნათვლაა ვაჟის, რომლის დასწრება მად...ლათ ეთვლება ებრაელს.

მეოთხე გვერდზე ნათქვამია: მშვიდო...ბის ბძანებით უნდა იყოს, **მშობლების ...ბძანებით** ქვემოდ ნათქვამია საქმრო და ...სარძლო, უნდა იყოს **საქმრო და საცოლე.**

აზერბეიჯანი.

სავაჭრო ნავთსადგური.

„აზერბეიჯანი“ იტყობინება, რომ სა...ვაჭრო ნავთსადგურის აზერბეიჯანის ხელ...ში გადაცემა უკვე გადაწყვეტილი აქვთ ...ინგლისელებს. ეს სულ მოკლე ხანში მო...ხდება.

ინგლისელთა საზღვ. ტრანსპორტის გა...უქმება.

სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, ...რომ ინგლისის საზღვაო ტრანსპორტი ...კასპიის ზღვაზე ამ ახლო მომავალში თავს...ან გაუქმებულად გამოაცხადებს, ან მოხა...ლისეთა ხელში გადავა, ამბობენ აგრეთვე, ...რომ შესაძლებელია იგი იტალიელებს გა...დაეცეს. ტრანსპორტის ლიკვიდაცია მოხ...დება 12—13 თიბათვემდე. პოლკოვნიკი ...ბრაუნი და სხვები თიბათვის 23 ბათუმს ...მიემგზავრებიან.

საქართველოში გადასახლება(!..)

უკანასკნელ გაფიცვების მეთაურნი მირ...ზიანი და ანაშკინი გადასახლებულ არიან ...საქართველოში, რომელიც მათ მიღებაზე ...დაგვთანხმდა. გუბანოვს, ჩურაევს და კო...ვალს სამი დღის ვადა მიეცემათ რომ მო...ახდინონ თავისი საქმეების ლიკვიდაცია ...და აზერბეიჯანის საზღვრები დასტოვონ; ...ამათ უფლება აქვთ თავისი საცხოვრებელი ...ადგილი თვითვე ამთირჩიონ.

პოლკ. ლაზარევის განცხადება.

აზერბეიჯანში მყოფმა დენიკინის ჯარის ...წარმომადგენელმა პოლკ. ლაზარევმა გა...ნაცხადა, რომ მოხალისეთა ჯარის მიერ ...გამოცხადებული მობილიზაცია მხოლოდ ...ნებაყოფლობითი იქნება. პირველად ყო...ვლისა გაწვეულ იქნებიან ოფიცრები რო...მლებიც ბაქოში მრავლად არიან.

შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადება.

შინაგან საქმეთა მინისტრმა იუსუფ...ბეგოვმა შემდეგი განცხადება გამოსცა: ...უკანასკნელ ხანებში ზოგიერთ ადგილობ...რივ გაზეთში მოთავსებული ცნობა, ვი...თომც მოხალისეთა ჯარი აზერბაიჯანის ...ტერიტორიაზე რუსების მობილიზაციას ...აწყობდეს, სიმართლეს არ შეეფერება და ...ჩვენ მიერ ნებადართულიც არასდროს ...არ იქნება. ის გაზეთები რომელნიც გა...ნზრახ გაავრცელებენ ხალხის ამაღელვე...ბელ ცრუ ხმებს ჩემ მიერ სასტიკად და...ისჯებიან.

ყუმბარები დენიკინისათვის.

მუშათა კონფერენციის პრეზიდიუმ...მა პარლამენტის სოციალისტურ ფრაქ...ციის შეატყობინა, რომ გემებს „პო...ლიუს“სა და „მერკური“ს ინგლისელე...ბი სტვირთავენ ყუმბარებით, რათა დენი...კინს მიაშველონ. ვფიქრობთ რომ თქვენ ...მიიღებთ ყველა ღონეს და ხელს შეუშ...ლით ამ განზრახვას. შედეგები შეგვატყო...ბინეთ.

გენ. ლაზარევის წერილი.

აზერბეიჯანის პარლამენტში პრემიერ ...მინისტრმა უსუმბეკოვმა გამოაქვეყნა დე...ნიკინის წარმომადგენლის პოლკ. ლაზარე...ვის წერილი. მოხალისეთა ჯარის პოლ...კოვნიკი იწერება:

„აზერბაიჯანის რესპუბლიკის მინის...ტრთა თავმჯდომარეს, საზღვრეთ რუსეთის ...შეიარაღებულ ძალთა წარმომადგენელი, ...ბაქოში ინგლისის სარდლობასთან მყოფი.

მაისის 21—1919 წ. № 98. ქ. ბა...ქო, ჩემ მიერ სამხრეთ რუსეთის შეია...რაღებულ ძალთა უფროსისაგან მიღებულ ...დეპეშის თანახმად გატყობინებთ: მოხა...ლისეთა ჯარის სარდლობა აცხადებს, ...რომ აზერბაიჯანის მიმართ მას არავითა...რი აგრესიული ზომების მიღება არ უფი...ქრია და აღიარებს მას დამოუკიდებელ ...სახელმწიფოდ, ხოლო როდესაც რუსეთი ...განთავისუფლდება, ბოლშევიკების ბატო...ნობა მოისპობა, მაშინ რუსეთის ტერი...ტორიაზედ მოსახლე ერებთან საქმე ექნე...ბა იმ სარდლობას, რომელსაც ბოლშე...ვიკთა წინააღმდეგ მებრძოლი ძალები ...აირჩევენ და თავის უფლებას გადასცე...მენო“.

ბოლშევიკების მოწოდება.

ბაქოს ბოლშევიკებმა აზერბაიჯანის ...მუშების, გლეხების და ჯარისკაცების ...მიმართ მოწოდება გამოსცეს, რომელ...შიაც ნათქვამია: დღევანდელ დამოუკი...დებელ აზერბაიჯანს კომუნისტები უპი...რისპირებენ „თავისუფალ სოციალისტურ ...აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკას“ ამ ...ნეტარ წყობილების დამყარებისათვის სა...ჭიროა ჩაეწეროთ წითელი ჯარის ნაწი...ლებში და იბრძოლონ იმპერიალისტების, ...ბეგების, ხანების, კაპიტალისტებისა და ...სპეკულიანტების წინააღმდეგ. მოწოდებას ...ხელს აწერს კავკასიის ბოლშევიკთა სა...ოლქო და ბაქოს კომიტეტები.

სომხეთში.

პოლკ. როლისონი ყარსში.

მაისის შუა რიცხვებში ყარსში ჩავიდა ...პოლკოვნიკი როლისონი, რომელმაც გა...ნაცხადა რომ არზუმის მხარეს ოსმალთა ...შორის იარაღის ჩამორთმევა კარგად მი...მდინარეობს.

ინგლისელთა ზომები.

როგორც გაზ. „არევი“ იტყობინება ...ინგლისელებმა უკიდურეს ზომებს მიჰმარ...თეს ყარსის, არტაანისა და ოლთისის ...მაზრებში წესიერების აღსადგენად.

იმავე გაზეთის ცნობით არზუმის მთავ...რობა ინგლისელებმა დაატყვევეს და თა...ვისი საგენერალ-გუბერნატორო დააწესეს.

სომეხთა შესვლა ოლთისში.

სომხის ჯარი ოლთისში, მერდენსკში ...და ყაგიზმანში შევიდა. ოსმალებმა და ...ქურთებმა სადღესასწაულო შეხვედრა გა...თმართეს.

ოლთა-სარიყამიშის რკინის გზა.

ინგლისის ჯარის დახმარებით და სომ...ხეთის რკინის გზის სამმართველოს ...ხელ...ნობით ჩქარა ოლთა სარიყამიშის ...სვლა განახლდება.

ამერიკული გაზეთი სომხეთზე.

გაზ. „ჩიკაგო ტრიბუნა“ სწერს, რომ ...ამერიკის საგანგებო რაზმი სომხეთს თა...ვის მფარველობას და კონტროლს გაუ...წევ.

ა. ხატისოვი ყარსში.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ...ხატისოვმა ყარსში ყოფნის დროს მაჰმა...დიანთა მეჩეთი ინახულა და სომხეთის ...მთავრობის სახელით 3000 მანეთი შეს...წირა.

სომხეთის დამოუკიდებლობის დღე.

მაისის 28 ერევანში გენ. დევის და ...სხვა დიპლომატიურ წარმომადგენელთა ...დასწრებით წაიკითხეს გაერთიანებულ სომ...ხეთის დამოუკიდებლობის აქტი. სომხე...თის პარლამენტის შემადგენლობაში ოს...მალეთის სომხების 12 წარმომადგენელი ...შევიდა.

აზატიანის „ლალატი“.

სომხეთის მთავრობამ სოც.-დემოკრატი ...აიკ აზატიანი მის მიერ თბილისში და ბა...ქოში წაკითხულ ლექციის გამო, („სომ...ხეთის საქმეთა მდგომარეობა“) სახელმწი...ფო ღალატისათვის, სამართალში მისცა.

ეროვნული დღესასწაული.

28 მაისს სომხეთმა იდღესასწაულა სომ...ხეთის დამოუკიდებლობის წლის თავი.

დღესასწაულის გამართვა მინდობილი ...ჰქონია განსაკუთრებულ კომისიას განათ...ლების მინისტრის მელიქ კარაკოვის თავ...მჯდომარეობით მრავალ-რიცხოვანი. პანა...შვიდის შემდეგ რესპუბლიკისთვის თავდა...დებულთა ხსოვნის აღსანიშნავათ, გაიმარ...თა საზეიმო სხდომა პარლამენტის პირ...ველ სესიისა რომელზედაც მთავრობამ გა...მოაქვეყნა საზეიმო აქტი გაერთიანებულ ...სომხეთის დამოუკიდებლობისა.

ქართველ მსახიობთა კავშირში

(წლიური კრება)

მაისის 29

სრულიად საქართველოს მსახიობთა ...კავშირის წლიური კრება დაიწყო ხუთ...შაბათს, მაისის 29-ს. კრება გახსნა კავ...შირის საბჭოს თავმჯდომარე შალვა და...დიანმა. კრების თავმჯდომარედ არჩეულ ...იქმნა პ. კორიშელი, მის ამხანაგად—ვლ. ...ამაშუკელი, მდივნად—მ. ხერხეულიძე. ...კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ...განსვენებულ მსახიობთა: ა. კავთელის, ...ვ. შალიკაშვილის, გ. გედევანოვის და ...ი. ივანიძის ხსოვნას. ამის შემდეგ კრე...ბამ კენჭის ყრით კავშირის წევრებად ...აირჩია: ნ. გამყრელიძე, ალ. მგალობლი...შვილი, სვ. სვიმონიძე, ოლ. ლოლო...ბერიძე, ალ. ყალაბეგიშვილი, ნ. ჩხეიძე, ...მ. ქორელი, ვ. ჩხიკვაძე, ოლ. ლეჟავა, ...გ. გურული, ნ. გამრეკელი, აპტალიდი, ...მ. ხერხეულიძე, ვლ. ფანიაშვილი, ვ. ...ჯიქია, და ი. გრიშაშვილი.

კრებამ იმსჯელა ნ. ჩხეიძის იუბილეს ...შესახებ და დაადგინა იუბილეარს მიარ...თვას 2,000 მან. და კავშირის სახელით ...ქუთაისს გაგზავნოს იუბილეზე დასას...წრებლად ორი მსახიობი: ეფემია მესხი ...და ვალ. გუნია.

კრების გაგრძელება მეორე დღისთვის ...გადაიდო.

მაისის 30

განსახილველია საკითხი კავშირის ...წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლის ...შესახებ, მაგრამ ირკვევა, რომ ამ ...საკითხის გადახაწყვეტად კრებაზე არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის წევრთა კანონიერი რიცხვი. კრება მხედველობაში იღებს, რომ ზოგიერთი მუხლი მართლაც დიდს უხერხულობას იწვევს და საქმეს აფერხებს, ამიტომ ადგენს, განიხილოს ეს საკითხი, შეადგინოს ახალი პროექტი და დაუყონებლივ დაუგზავნოს იმ მსახიობთაც, რომელნიც ტფილისში არ არიან და ანკეტის მოხდენის შემდეგ დაამტკიცოს �ი.

იწყება წესდების მუხლობრივი განხილვა. წესდებაში კრებას ასეთი მუხლები შეაქვს:

სეზონის წარმოება კავშირისთვის სავალდებულო არ არის.

ყველა ნამდვილ წევრს-პროფესიონალს არა ჰქონდეს უფლება წარმოდგენების გამართვისა. ეს უფლება უნდა მიეცეს იმას, რომელსაც საბჭო საჭიროდ დაინახავს.

კავშირის ნამდვილ წევრად მიიღება ის მსახიობი, რომელსაც 5 წლის სტაჟი აქვს ხოლო ის, ვისაც უკანასკნელ სამი წლის, განმავლობაში სცენაზე არ უმსახურნია, ნამდვილ წევრად არ მიიღება.

საპატიო წევრი ერთდროულად იხდის 3,000 მან. ნაცვლად წინანდელ 1000 მან.

მუდმივი წევრნი იხდიან 25 მან., ნამდვილი წევრნი იხდიან 25 მან., თანამგრძნობნი 50 მ. თანამშრომელნი 10 მ., მუდმივნი ერთდროულად—250 მ.

ამით კრება სწყდება. გაგრძელება მეორე დღისთვის ინიშნება.

მაისის 31

წესდების მუხლობრივი განხილვა და ახალ მუხლების შედგენა გრძელდება.

კრებას კიდევ ასეთი მუხლი შეაქვს:

საანგარიშო წლის ბოლოდ 1 აპრილი უნდა ჩაითვალოს. წლიური კრება კავშირისა მოწვეულ უნდა იქმნას აუცილებლად ტფილისში არა უგვიანეს მაისისა.

კავშირის თავმჯდომარე და საბჭოს წევრნი ერთის წლის ვადით უნდა ირჩეოდენ. ჯამაგირი უნდა ეძლეოდეს მხოლოდ თავმჯდომარეს.

კავშირის წევრს-მსახიობს ჯამაგირიდან უნდა გამოერიცხოს კავშირის სასარგებლოდ 2 პროც., იუბილე-ბენეფისიდან კი 6 პროც. ისეთი სახალხო წარმოდგენა, რომლის პირველ რიგის ფასი 5 მანეთს არ აღემატება, თავისუფალია გადასახადისაგან.

პირველ ბენეფისის ვადა 10 წლის ნამსახურობაა, მეორესი—5 წლისა. საბჭოს უფლება აქვს ამა თუ იმ მსახიობს ბენეფისი არ მისცეს, თუ ამას საჭიროდ დაინახავს.

ქართველ მსახიობთა დღედ გამოცხადებულ იქმნეს 2 იანვარი. ამ დღეს ყველგან უნდა იმართებოდეს წარმოდგენები კავშირის სასარგებლოდ.

ამით წესდების განხილვა და ახალ პროექტის შედგენა თავდება კრების გაგრძელება მეორე დღისთვის ინიშნება.

ივნისის 1

განსახილველია საკითხი მომავალ სათეატრო სეზონის შესახებ. კავშირის საბჭოს თავმჯდომარე შალვა დადიანი კრებას უდგენს მოხსენებას, რომელშიაც აღნიშნავს, რომ მომავალ წელს, ცხადია, იქნება მთავრობის დასი სახელმწიფო თეატრში, სადაც მოწვეულ იქნებიან მსახიობთა საუკეთესო ძალებიო; ჩვენ ამ გარემოებას ხელი უნდა შეუწყოთ, მაგრამ საჭიროა ვიზრუნოთ მეორე დასის შესაქმნელად, სადაც თავს მოიყრიან ის პროფესიონალური მსახიობნი, რომელნიც მთავრობის დასში არ მოხვდებიან ამას ეკონომიურის მხრის გარდა იდეიური მხარეც აქვს. სახელმწიფო თეატრში იქმნება უფრო ღრმა, იდეური და ასე ვსთქვათ, კლასიური პიესები; ჩვენი ხალხის დიდი უმრავლესობა კი ამისთვის მზად არ არის, მას უფრო საინახავით პიესები ესაჭიროება და ასეთ მდგომარეობის გამო ჩვენს დასს ბაზარი უსათუოდ ექნებაო. ხანგრძლივი კამათის შემდეგ სხვა და სხვა აზრი ირკვევა. ერთნი ამტკიცებენ, რომ კავშირმა სეზონი არ უნდა აწარმოოს, რადგანაც სახსარი არა აქვსო. მეორეთა აზრით აუცილებლად უნდა აწარმოოს, რათა ამ გზით დაეხმაროს უსაქმოდ დარჩენილ მსახიობებსაო. მესამენი კი ამბობენ, რომ მსახიობთა დასახმარებლად საბჭომ სეზონი კი არ უნდა აწარმოოს თანხა უნდა გაიღოსო. ამბობენ იმასაც, რომ შეუძლებელია მსახიობი მოწყალებით სცხოვრობდეს, ეს მისი შეურაცყოფაა და ამიტომ მიუღებელიაო. არიან ასეთი დებულების დამცველნიც: ყოველად შეუძლებლია კავშირმა სეზონი თავის ფირმით აწარმოოს, რაც უნდა დიდი სახსარი ჰქონდესო. დასასრულ კრება ადგენს: კავშირმა სეზონი აწარმოოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახსარი ექნებაო. რაც შეეხება ფირმას და საერთოდ ტეხნიკურს მხარეს, ეს თვით საბჭომ უნდა განიხილოსო.

ამის შემდეგ ირჩევა საკითხი პროვინციაში მუშაობის შესახებ. საბჭოს თავმჯდომარე შ. დადიანი აცნობებს კრებას, რომ უკვე დაიბადა აზრი მოგზაურ დასის შექმნისა, ვინაიდან პროვინციაში წარმოდგენების მართვის საქმე ცუდს მდგომარეობაშიაო; იქ ან სულ არ იმართება წარმოდგენები და ან სულ უვარგისი წარმოდგენები იმართებაო. უკანასკნელი გარემოება სხვა დამსწრეებმაც დაადასტურეს. როგორც თავმჯდომარის სიტყვიდან გამოირკვა, ტფ. სამაზრო ერობას კავშირის საბჭოსთვის უთხოვნია, რომ გარე კახეთისა და სხვა ადგილებისათვის საჭირო დასი შეგვიქმნით ჩვენის ხარჯითაო. ასეთი თხოვნები სხვა კუთხეებიდანაც მოსულა.

იმართება კამათი, რომლის შემდეგაც კრება ადგენს, დაევალოს საბჭოს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს პროვინციაში წარმოდგენების მართვის საქმეს.

კრების გაგრძელება მეორე დღისთვის ინიშნება.

ეროვნის წვრილი ერთეულების არჩევანები და ჩვენი კანდიდატები.

ქუთაისის მაზრაში ერობის წვრილი ერთეულების არჩევნები მოხდება კვირას 8 ივნისს. საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტია არჩევნებში გამოდის №-2 ნომრით და სხვადასხვა თემებში ასახელებს შემდეგ კანდიდატებს.

მანდიკორის თემი:

1) სამსონ გიორგის ძე ყიფიანი
2) ნოე არჩილის ძე მხეიძე
3) სიმონ იოსების ძე იაშვილი
4) ნიკანდრი მაქსიმეს ძე ასათიანი
5) კონსტანე გიორგის ძე მორჩაძე
6) გიორგი რევაზის ძე როინიშვილი
7) კონდრატი სერგის ძე მხეიძე
8) შალვა თეოფილეს ძე აბაშიძე
9) დიმიტრი სპირდონის ძე უგრეხელიძე
10) იოსებ თედორეს ძე ბუხაიძე
11) ბენიამენ ანდრიას ძე ხუციბერიძე

საწირის თემში.

1) მაქსიმე ნიკოლოზის ძე კუბლაშვილი
2) პავლე ნიკოლოზის ძე კუბლაშვილი
3) გალაქტიონ კონსტ. ძე კოკელაძე
4) ამბაკო პორფილეს ძე ქარქაშიძე
5) იონა სამსონის ძე ქარქაშიძე
6) ერმილე ვასილის ძე ბოჭორიშვილი
7) არტემ ფილიფეს ძე ობოლაძე
8) გრიგოლ ივანეს ძე ობოლაძე
9) რაჟდენ დიმიტრის ძე ობოლაძე
10) სილოვან ბართლომეს ძე ფორჩხიძე
11) მელიტონ ნიკოლ. ძე კუბლაშვილი
12) კოსტა თომას ძე ცირეკიძე
13) კირილე ივანეს ძე ცქიფურიშვილი
14) სერგი ივანეს ძე ცირეკიძე
15) მაქსიმე გაბრიელის ძე სოფრომაძე
16) სარდიონ გაბრიელის ძე ჩხიკვაძე
17) ალექსანდრე პავლეს ძე ცირეკიძე
18) ფილიფე ლევანის ძე ცირეკიძე

ბორის თემი:

1) ალექსანდრე გიორგის ძე ერისთავი
2) ბესარიონ პავლეს ძე აბრომელაძე
3) აფრასიონ გიორგის ძე სანიკიანი
4) ვარდენ ნიკოს ძე ერისთავი
5) სერგეი გლახუას ძე გამრეკლიძე
6) ერმალო თეიმურაზის ძე ნიჟარაძე
7) ნოე დარისპანის ძე ვამეყმაძე
8) ვარდენ ივანეს ძე ლომინაძე
9) გერმანე ბესარიონის ძე ადეიშვილი
10) დიმიტრი ესტატეს ძე ქარციძე
11) ერმალოზ ნიკოლოზის ძე ენუქიძე
12) ლევანტი მიხაილის ძე კოპალაძე
13) სარდიონ კონსტ. ძე ნიკოლეიშვილი
14) პარმენ ივლიანეს ძე ხუნდაძე
15) ივლიანე ტარიელის ძე დვალიშვილი
16) მახარობელ მერაბის ძე გაჩეჩილაძე
17) მიხაილ ვახტანგის ძე ქარჩხაძე
18) ნიკოლოზ ბეხუს ძე გოცირიძე
19) იუსტინე ივან. ძე კაპანაძე
02) ალექსანდრე პარ. ძე მებურიშვილი

კიკნაველეთის თემი:

1) ვასილ გიგოს ძე მაჭავარიან
2) სიმონ ი. საყვარელიძე
3) ნიკოლოზ სერ. კიკნაველიძე
4) კარპეზი ს. კიკნაველიძე
5) ვლადიმერ დავითის ძე კოხაძე
6) ივანე დიმიტრის ძე გუმბერიძე
7) ისიდორე იაკობის ძე გორგოძე
8) იორამ დიმიტრის ძე გუმბერიძე
9) დავით ს. ჯოხაძე
10) ტარასი თაბუკაშვილი
11) ლასონ ხირაქაძე
12) შაშიკო ერასტის ძე დოგრაშვილი
13) ილია დავითის ძე ლომსნიძე
14) კირილე ს. კიკნაველიძე

დვალიშვილების თემში:

1) ლორთქიფანიძე ალექ. ვლასას ძე
2) ჩიჯავაძე რაფიელ ანტონის ძე
3) აბრამიძე ბიქტორ სპირდონის ძე
4) ჩიკვაშვილი შალომ ისხაკის ძე

სვირის თემში:

1) გიორგი ალექსის ძე კაკაურიძე
2) ეარლამ მელიტონის ძე ლომინაშვილი
3) ლარვენტი კონსტანტინეს ძე ცხადაძე
4) დომენტი გიორგის ძე დეკანოსიძე
5) არქიფო გიორგის ძე ლომინაშვილი
6) ვანო სპირდონის ძე კაპანაძე
7) რომანოზ ივანეს ძე დეკანოსიძე
8) ბიქტორ ალფეზის ძე გიორგაძე
9) დომენტი პეტრეს ძე ჩხიკვაძე
10) ვასილ ლაზარეს ძე სულაქველიძე
11) კირილე გიორგის ძე ბოჭორიშვილი
12) ილია ბესარიონის ძე ნიქაბაძე
13) მიხა პეტრეს ძე ჩხიკვაძე
14) მარკოზ ივანეს ძე კაკაურიძე
15) მიხაილ მაკუკას ძე გიორგაძე
16) ვლადიმერ ლუკას ძე წაქაძე

ზეკარის თემში

1) გიორგი მოსეს ძე ტაბეშიძე
2) ივანე იაკობის ძე ტაბეშიძე
3) სერგო სპირიდონის ძე ბელხუიძე
4) ფილიმონ ივანეს ძე გიორგიძე
5) მიხეილ ქრისტეფორეს ძე გიორგიძე
6) ონისიმე ლუკას ძე სხვილიძე
7) ვარლამ ილარიონის ძე დემეტრიძე
8) გიორგი თომას ძე დემეტრიძე
9) საულე ზალიკას ძე ლომსიანიძე
10) ისიდორე მ. გორგოძე
11) მიხეილ იორამეს ძე მინაძე
12) ვალოდი იაკობის ძე გელხუიძე
13) ილია ივანეს ძე გიორგიძე
14) გიორგი სიმონის ძე ლომსიანიძე
15) სტეფანე ოქროპილის ძე ენდელაძე

სიმონეთის თემში:

1) აბულაძე ასლან გიორგის ძე
2) არაბიძე ამბაკო ბასილას ძე
3) ბარათაშვილი დომაქსი დარისპანის ძე
4) მაჩიტაძე დავით სპირდონის ძე
5) ღვინეფაძე ვალერიან იაკოს ძე
6) ნიკოლაძე ვასილ ლევანის ძე
7) სულამანიძე თეიმურაზ გრიგოლის ძე
8) ბრეგვაძე ილარიონ მაქსიმეს ძე
9) ბარდაველიძე ერმალო ლუკას ძე
10) ბოგვერაძე ნიკოლოზ ერმინეს ძე
11) მაჩიტაძე ბარნაბას ძე
12) ჩიხლაძე პავლე ნიკოლოზის ძე
13) კრავიშვილი ბაგრატ ისიდორეს ძ
14) კრავიშვილი ივანე ნიკოლოზის
15) ლომთაძე ილია რევაზის ძე
16) ბარდაველიძე მელქისედეკ კონს
17) აბჟანდაძე იოველ გერასიმეს ძ
18) ავალიანი ელიზბარ კონსტანტ.
19) კრაკიშვილი კონსტ. ფარსადან
20) სულამანიძე იორამ ლუკას ძ

საყულეის თემში:

1) გიორგი ბიჭიას ძე ველიაშვილი
2) ნოე ხახულის ძე ლალიაშვილი
3) გიგო იაკობის ძე მარგველაშვილ
4) ნიკოლოზ ხახულის ძე ლალიაშვ
5) ნესტორ ეტიფანეს ძე ნიჟარაძე
6) ტარასი მოსეს ძე სანებლიძე
7) ასლან დავითის ძე ნიჟარაძე
8) ილარიონ კაპანაძე
9) ივანე აბდალაძე
10) კოსტა სვანაძე
11) ვასილ ხახულის ძე ლალიაშვილი
12) კალისტრატე ნიკოს ძე ნიშნიანიძ
13) სტეფანე დიმიტ. ძე მარგველაშვ
14) ეფრემ ლაზარეს ძე დეისაძე
15) პარმენ არჩილის ძე ნიჟარაძე

მაღლაკის თემში.

1) ბიბილეიშვილი ვასილ სპირდონის ძ
2) ხაზარაძე ლონგინოზ ლუკას ძე
3) ნიჟარაძე კონსტანტინე დიმიტრის
4) გოგისვანიძე აპალონ მელიტონის
5) ხაზარაძე ისიდორე გიორგის ძე
6) დოლაბერიძე თედორე კაცას ძ
7) ნიჟარაძე იულონ პაატას ძ
8) ჩეჩელაშვილი ივანე სიმონის ძ
9) ფაჩუაშვილი პავლე ოქროპი ის ძ
10) მარდალეიშვილი ლუკა ლაზარეს
11) კოსტავა ონისიმე გიორგის ძ
12) მარდალეიშვილი ექვთიმე ფირანის
13) ფორფოლიანი მაქსიმე მიხეილის ძ
14) დეისაძე სიმონ პავლეს ძ
15) ქვაჩაკიძე ლუკა
16) ჯაოხაძე ბიკტორ ლევანის ძ
17) ლექვინაძე ბეგლარ ვასილის ძ
18) ფორფოლიანი ივანე დიმიტრის ძ
19) ჯაოხაძე თეოფილე ბეჟანის ძ
20) გოგისვანიძე პარმენ ივანეს ძ

ოფუჩხეთის თემში:

1) კირილე დავითის ძე ავალიანი
2) ერასტი ასათიანი
3) სპირდონ ჯიშკარიანი
4) გიორგი ჯიშკარიანი
5) ლევან მელქაძე
6) ევგენ ბეჟანის ძე ლორთქიფანიძ
7) შალიკო ალხაზაშვილი
8) ილაკრი ალხაზაშვილი
9) ილია სამსონის ძ ავალიანი
10) ვარდენ პეტრეს ძ დანგაძ
11) ალექსანდრე ლორთქიფანიძ
12) ილარიონ ბასილის ძ ჯიშკარიანი
13) დავით ნესტორის ძ კანდელაკი
14) ლუკა აბაზაძ
15) ზოსიმე აბაზაძ
16) არსენ წიწალაშვილი
17) გერმანე აბაზაძ

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ მომცეთ საშუალება თქვენი გაზეთის საშუალებით ღრმესი მადლობა გამოუცხადო ს. ამაღლების მცხოვრებ ბ. შალიკო გაბუნიას, რომელმაც შეუდ რებლის სიმამაცით დახრჩობას გადარჩინა ექვსი ქალი და ერთი ბავშვი ს. ამაღლების სანაოზე ადიდებულ წყალში გასვლის დროს 28 მაისს მიუხედავათ იმისა, რომ თითონაც საფრთხე მოელოდა.

პატივისცემით სამსონ აბულაძე

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.

წრეფლმბეჭდავი „ძმობა" პუშკინის ქუჩა [illegible]